შუამთელი მამები მშობლიურ მონასტერს დაუბრუნდნენ

ლევან კახთა მეფის მეუღლის, თინათინ დედოფლის მიერ XVI საუკუნეში ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე აგებული ახალი შუამთის მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერა იყო. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი სასულიერო პირები, მისთვის ზრუნავდნენ საქართველოს მეფე-დედოფლები, ხახულის ღვთისმშობლის ხატისაგან მფარველობას ითხოვდნენ როგორც გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ისე მთელი კეთილმორწმუნე ერი.

ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე აგებულ ახალი შუამთის მონასტერში ასევე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზ მირონ-ლუკიელს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ შუამთის მონასტრის ერთ-ერთი ეკვდერი წმინდა ნიკოლოზის სახელზე იყო ნაკურთხი, მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობაში კი წმინდა მღვდელმთავრის გამოსახულებასა და მისი ცხოვრების ამსახველ სცენებს გამორჩეული ადგილი უჭირავს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (ქობულაშვილი) სოფ. რუისპირის ერთ-ერთ უბანში, რომელსაც „არტოზანს“ უწოდებდნენ, შუამთის მონასტრისთვის მიწის ახალი ნაკვეთი შეიძინა (“არტოსი” ბერძნულად პურს ნიშნავს, არტოზანი კი ის ადგილი იყო, სადაც საეკლესიო პური ითესებოდა). ვინაიდან შუამთაში გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ წმინდა მღვდელმთავარს და თინათინ დედოფალმაც მისი დღესასწაულის საგანგებოდ აღნიშვნის წესი დაადგინა, რუისპირშიც, მონასტრის კუთვნილ მიწაზე, ახალი ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზე აიგო. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია 1788 წლის მაისის თვეში დაწერილი ანდერძი, რომელშიც არქიმანდრიტი ნიკოლოზი აცხადებს: **„აღვაშენე საყდარი ესე წმინდისა ნიკოლოზისა, ვითა სანატრელად ხსენებულის დედოფლის თინათინის გუჯარი აცხადებდა ნიკოლოზის დღესასწაულს აღაპისა მისისა გარდახდასა, მეცა ამ აზრით აღვაშენე სახელსა ზედა წმინდისა ნიკოლოზისასა და მასთანავე ჩრდილოეთის მხრისკენ სასახლე სახლი ორი საშუალზედ მცირე მარნით და ვიყიდე ამავე სასახლის ჩრდილოეთისაკენ მიწა საბაღეთ და აღვაშენე ბაღი კაცთა**

„ლევან კახთა მეფის მეუღლის, თინათინ დედოფლის მიერ XVI საუკუნეში ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე აგებული ახალი შუამთის მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერა იყო.“

და ჩემთა შემდგომთა მომავალთა განსასვენებლად“ (დღეს აქ სოფელ რუისპირის სასაფლაოა).

წმინდა ნიკოლოზის შეწევნით არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა რუისპირში ერთ წელიწადში ააგო წმინდა მღვდელმთავრის სახელობის დარბაზული ტიპის ტაძარი, საწინამძღვრო სახლი და მარანი, გააშენა ბაღი. 1789 წლის სექტემბერში ანდერძზე მიაწერა: **„კიდევ ამ სასახლესთან აღმოსავლეთის მხრისაკენ ვიყიდე მიწა საჯინიბოდ, საძროხედ და მოსამსახურის სადგომად, რომ დღეს საჯინიბოცა და მოსამსახურის სადგომი არის გაკეთებული და ამას გარდა, ორი სახლიც სხვა გაიმართება“.**

დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს თავის „მასალებში“ საკვირველ ამბავს წმინდა ნიკოლოზის მიერ მოხდენილი სასწაულის შესახებ, რომელიც მას სხვათაგან გაგონილი ჩაუწერია: **„კახეთის სოფელს არტოზანს ინება არხიმანდრიტ შუამთისამან, მოძღუართ - მოძღუარმან მდივნისშვილმან ნიკოლოზ აღშენება ეკლესიისა წმინდისა ნიკოლოზისა და ოდეს ჩადგეს საკირე დიდი ქვისა და შიგ შეგზავნეს კაცი ერთი, რათა აღაგზნას ცეცხლი, მსწრაფლ ჩამოიქცა საკირე იგი და დაფარა ქუამან სრულიად კაცი იგი. მოვიდნენ სოფლელნი და ამოყარეს ქუა იგი და ჰპოვეს კაცი მრთლად უვნებელი, ჰკითხეს კაცსა მას, ვითარ დაშთიო მთლად, ხოლო მან რქუა მათ: ოდეს საკირე იგი დამექცა, მაშინ მოვიდა ბერი ერთი მოხუცი და გარდამეფარა ზედა და დავშთი მშვიდობით.“**

1926 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი შუამთის მონასტერი დაარბია და დახურა. მონასტრიდან განდევნეს იქ მოღვაწე მამები და მათ შორის ორი გამორჩეული ღვთისმსახური: იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე) და მღვდელმონაზონი იოსები (ლაგაზიშვილი).

„1926 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი შუამთის მონასტერი დაარბია და დახურა. მონასტრიდან განდევნეს იქ მოღვაწე მამები და მათ შორის ორი გამორჩეული ღვთისმსახური: იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე) და მღვდელმონაზონი იოსები (ლაგაზიშვილი).“

იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე)

1854 – 1929 წ.წ.

იღუმენი ნიკოლოზი (ერში ნიკოლოზ მიქელაძე) 1854 წელს თავადის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, საღვთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1886 წლიდან იგი ცხოვრობდა ახალი შუამთის მონასტერში, სადაც 1893 წელს მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ნიკოლოზი ეწოდა. მალევე დანიშნეს ალავერდისა და შუამთის მონასტრების ხაზინადრად. როგორც საუკეთესო მგალობელი, იგი თავიდან ხელმძღვანელობდა მონასტრის მგალობელთა გუნდს. შემდგომში, როგორც შუამთის მონასტრისა და ალავერდის ტაძრის ხაზინადარმა დიდი ამაგი გასწია ორივე მონასტრის მოვლა-პატრონობის საქმეში. მისი შრომა არაერთი საეკლესიო და სამეფო ჯილდოთი აღინიშნა.

„უღმერთო ხელისუფლებამ ღვაწლმოსილი ბერი, იღუმენი ნიკოლოზი 72 წლის ასაკში განდევნა იმ მონასტრიდან, სადაც მან მთელი ცხოვრება ღვთის სიყვარულით იმსახურა.“

მღვდელმონაზონი იოსები (ლაგაზიშვილი)

1878- 1956 წ.წ.

აქვე უნდა ვთქვათ თელაველი ქალბატონის, ნინო კუხიანიძის შესახებ, რომელმაც თავისი ღვთისმოშიშებით შემოგვინახა მამა ნიკოლოზ მიქელაძის ხელით ნაწერი რვეული: **„მოგონება შუამთის მონასტერზე 1886-1910 წ.“** სადაც მამა ნიკოლოზი აღწერს შუამთისა და ალავერდის მონასტრების ყოფას ამ წლებში.

უღმერთო ხელისუფლებამ ღვაწლმოსილი ბერი, იღუმენი ნიკოლოზი 72 წლის ასაკში განდევნა იმ მონასტრიდან, სადაც მან მთელი ცხოვრება ღვთის სიყვარულით იმსახურა. იგი იძულებული გახდა, შუამთის მონასტრის საწინამძღვრო ეკლესიაში, სოფელ რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში გადასულიყო; დევნილ მამა ნიკოლოზს არც აქ შეუწყვეტია ხალხის მსახურება და როგორც რიგითი მღვდელმსახური, ისე აღასრულებდა საეკლესიო წესს. იგი 1929 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა 75 წლის ასაკში.

მიუხედავად დევნისა, მის დაკრძალვას მრავალი სასულიერო პირი და მორწმუნე ადამიანი დაესწრო. მიცვალებულს წესი აუგო ცნობილმა სასულიერო პირმა, დეკანოზმა ეპიფანე ჯაოშვილმა. მამა ნიკოლოზი დაკრძალეს რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის სასაფლაოზე. საფლავზე ეპიტაფიის ქვა მისმა სულიერმა შვილმა, მამა იოსებ ლაგაზიშვილმა დადო.

იღუმენ ნიკოლოზთან ერთად შუამთის მონასტრიდან განდევნეს მღვდელმონაზონი იოსები (ერში იოანე ლაგაზიშვილი). ის 1878 წლის 13 ნოემბერს დუშეთის მაზრის სოფელ ტონჩაში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი მან შუამთის მონასტერში ისწავლა. 1902 წლიდან შუამთის მონასტრის საძმოს წევრი იყო. აქვე 1904 წელს იღუმენ ნიკოლოზის მიერ აღიკვეცა მონაზვნად და ეწოდა სახელი იოსები. 1911 წელს მას მღვდლად დაასხეს ხელი. ახალგაზრდა მღვდელმონაზონს მორჩილებისა და ღვთისმოსაობის გამო დიდად აფასებდა მონასტრის ძმობა. ცნობილია, რომ გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, აღმოსავლეთ მონასტრების მთავარხუცესი, საქართველოს არქიმანდრიტი ნაზარი (წმინდა მღვდელმოწამე ნაზარ ლეჟავა) 1914 წელს ახალი შუამთის მონასტრის წინამძღვარს სთხოვდა, მღვდელმონაზონი იოსები გარეჯის ნათლისმცემლის ხაზინადრად გადაეყვანათ და მონასტრის კუთვნილი ხაშმის ბაღები და მეურნეობა მისთვის ჩაებარებინათ. მაგრამ მამა იოსებს არ სურდა ხახულის ღვთისმშობლის სავანესთან განშორება, არქიმანდრიტი ნაზარის თხოვნას არც სინოდალურმა კანტორამ დაუჭირა მხარი და ახალი

შუამთის მონასტრის დახურვამდე მღვდელმონაზონი იოსები შუამთაში დარჩა.

1926 წელს მამა იოსები მამა ნიკოლოზთან და სხვა ძმებთან ერთად გაასახლეს მონასტრიდან. რეპრესიების, დახვრეტების და უსასტიკესი დევნის ეპოქაში მონასტრიდან დევნილ მამებს ერთად დასახლების უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ მამა იოსები სოფელ ახატელში ახლო ნათესავთან დასახლდა. იგი ალავერდელი ეპისკოპოსის მელქისედეკის (ფხალაძე) ლოცვა-კურთხევით ახატელის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს.

„1926 წელს მამა იოსები მამა ნიკოლოზთან და სხვა ძმებთან ერთად გაასახლეს მონასტრიდან. რეპრესიების, დახვრეტების და უსასტიკესი დევნის ეპოქაში მონასტრიდან დევნილ მამებს ერთად დასახლების უფლება არ ჰქონდათ.“

თავისი მონაზვნური გამოცდილებით ბერმა იოსებმა შეძლო ათეისტი კომუნისტებისგან შეშინებული და დაფანტული მრევლის შემოკრება; ის თავდადებით აღასრულებდა მასზე დაკისრებულ სამღვდელო მოვალეობას. აი, რას წერდნენ მასზე 1934 წელს წმინდა სინოდის წევრი სასულიერო პირები, რომლებიც ალავერდის ეპარქიაში სარევიზიოდ იყვნენ ჩამოსულები: **„ნანახი სამღვდელოებიდან ჩვენზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახატელის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა იოსებმა (ლაგაზიშვილი). სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო მისი ეკლესია ვერ ვნახეთ, მაგრამ ის სულ ჩვენთან იყო მთელი მოგზაურობის დროს. მიუხედავად მონასტრული აღზრდისა, მას კარგი განათლება მიუღია. აქვს იდეალური ურთიერთობა სამრევლოსთან და გამოირჩევა სიფხიზლით, თავდაჭერილობით მსჯელობაში, სიდინჯით, ღვთის მსახურებაში, სმა-ჭამაში და საერთოდ, სახის გამომეტყველება მაჩვენებელი არის სრული მღვდლის იდეალისა.“**

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი მამა ნიკოლოზის საფლავის გახსნის დღეს მონაზვნებთან ერთად.

2013 წელი

1935 წელს მამა იოსებს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს კომუნისტებმა ახატელის ეკლესიაც დახურეს და მამა იოსები იძულებული გახდა მხოლოდ სამღვდელო წესები შეესრულებინა მორწმუნეთათვის. იმჟამად მთელ ეპარქიაში მხოლოდ თელავის ღვთაების ტაძარი იყო მოქმედი, სადაც რიგრიგობით აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას სასულიერო პირები და მათ შორის არქიმანდრიტი იოსებიც. მამა იოსები გარდაიცვალა 1956 წლის გაზაფხულზე 77 წლის ასაკში და დაიკრძალა ახატელის ამაღლების ეკლესიის მთავარ შესასვლელთან. საფლავზე დგას მარმარილოს ქვა წარწერით: **„ბერი იოსებ ლაგაზიშვილი, გარდაიცვალა 1956 წელს.“** ქვევით ვკითხულობთ მოკრძალებულ წარწერას: „მიშა პაპალაშვილისგან.“ ამ ერის ადამიანის პატივისცემით განმსჭვალულმა დამოკიდებულებამ, რაც იმ ეპოქაში

დევნილი მამების საფლავები ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი.

მამა იოსების (ლაგაზიშვილი) ნაქონი ფსალმუნი მისი ანდერძ-მინაწერით.

აღმსარებლობის ტოლფასი იყო, შემოგვინახა მოღვაწე მამის საფლავი.

2013 წლის 22 მაისს, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, სოფ. რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ახლად აღდგენილ ტაძარში გადმოასვენეს ახალი შუამთის მონასტრიდან დევნილი მამები, იღუმენი ნიკოლოზ მიქელაძე და არქიმანდრიტი იოსებ ლაგაზიშვილი. სადღესასწაულო წირვის შემდეგ, რომელიც აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა აღასრულა სამღვდელოებასთან ერთად, შუამთელი მამები მშობლიურ მონასტერს დაუბრუნდნენ.

მამა იოსებ ლაგაზიშვილის საფლავის გახსნის დღეს, 20 მაისს (პატიოსანი ჯვრის დღესასწაული, ღირსი იოანე ზედაზნელისა და 12 ასურელი მამის ხსენების დღე), იღუმენმა დავითმა (თოდუა) ახალი შუამთის მონასტრის იღუმენიას, მონაზონ იოანას გადასცა არქიმანდრიტ იოსების კუთვნილი „დავითნი“. წიგნზე არის მინაწერი, რომელიც ღვთის წმინდა განგებულებით იღუმენია იოანამ მამა იოსების საფლავის გახსნამდე იქ მყოფებს წაუკითხა.

“წიგნი ესე დავითნი წმიდათა ფსალმუნთა წერილნი შემდგომად აღსრულებისა პატიოსანი მხცოვანი მღვდელ მონაზონი ილარიონისა გავბედე და ვთხოვე ყოვლად ღირსეულს იღუმენს (კაზნაჩეი შუამთის მონასტრისა) ნიკოლოზს რათა ჩემთვის მოეცა, რაც შემისრულა თხოვა ჩემი, გადმომცა და თან მითხრა: აბა შენ იცი, გაუფრთხილდი და კეთილად მოიხსენებდი მ. ილარიონსაო. მეც უფრთხილდები და ვცდილობ აღვასრულო მისი ჩემდამო დავალება. წიგნის მოცემისათვის ვარ მადლიერი მისი, ვითხოვ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან ულხინოს სულთა მათ ორთავეს. ამინ.

თქვენცა მხილველთა და ვისაც გსურთ წარკითხვად და მიღებად მისგან სულიერისა საზრდელისა, გევედრებით ეკრძალებოდეთ წიგნსა ამას, რათა არა უდებებისა და უკრძალველობისათვის დაისაჯნეთ,

დაგიცვათ ღმერთმან ამინ.

მიწა, ნაცარი და ჭია უსუსური

იოსები”.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში 1930-იან წლებში, რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარშიც შეწყდა ღვთისმსახურება. ეკლესია დაინგრა. განადგურდა მონასტრის კუთვნილი სახლი, ეზო და ბაღი. ღვთის შეწევნით კეთილმორწმუნე ქრისტიანებმა ბატონ დავით

სეხნიაშვილისა და ბატონ ვახტანგ ჭუმბაშვილის თაოსნობით აღდგა და მოიხატა წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, აშენდა სამრეკლო და სახლი.

ტაძრის, სამრეკლოს და სახლის პროექტი ეკუთვნის ალავერდის ეპარქიის არქიტექტორ მამა კონსტანტინე პაპალაშვილს.

წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზ მირონ-ლუკიელი.

რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ახლად აღდგენილი ტაძარი 2011 წლის 19 დეკემბერს აკურთხა აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა. ტაძარში ახალი შუამთის მონასტრიდან მობრძანდა ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ასლი, ნიშნად წმინდა ნიკოლოზის ტაძრის შუამთის მონასტერთან ისტორიული კავშირისა. ამ ტაძრისთვის საგანგებოდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დაიწერა წმინდა ნიკოლოზის ხატი, რომელიც შექმნილია იტალიის ქალაქ ბარის წმინდა ნიკოლოზის ხატის მიხედვით, რომელიც XIV საუკუნეში სერბეთის მეფის სტეფანე მესამე ურიშის დაკვეთით დაიწერა. ბარის წმინდა ნიკოლოზის ახალი ხატის შემომწირველები არიან დავით სეხნიაშვილი და ვახტანგ ჭუმბაშვილი, ხატმწერი ამირან გოგლიძე, ხოლო მოოქროვილი ვერცხლის პერანგი და ტიხრული მინანქრის მედალიონები დავით კაკაბაძის ნაკეთობაა. რუისპირის ეკლესიის მრევლმა წმინდა ნიკოლოზის ხატით მოილოცა ათონის წმინდა მთა და წმინდა ნიკოლოზის საფლავი იტალიის ქალაქ ბარში, რის შემდეგაც ხატი საზეიმოდ ჩამოაბრძანეს რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში.

ჟურნალი „ალავერდი“ N1, გაზაფხული, 2013

გთავაზობთ სტატიის ჩასწორებულ ვარიანტს.